

**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ  
ხელშეკრულება №234**

ქ. გორი

30 დეკემბერი, 2016 წელი

ერთის მხრივ, **სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი** (შემდგომში - შემსყიდველი), ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გიორგი ხორბალაძის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „სტუდია ვებჯორჯია“** დირექტორის ვახტანგ ჯინჯიხაძის (შემდგომში - მიმწოდებელი) სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის I პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**

1.1 ხელშეკრულების საგანია - სარეკლამო მომსახურების შესყიდვა.

**2. შესყიდვის ობიექტი**

2.1. შესყიდვის ობიექტია – სარეკლამო მომსახურება - **გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შესახებ ცნობადობის გაზრდის მიზნით, ინფორმაციის განთავსება სამენოვან ბიზნეს პორტალზე webgeorgia.ge-ზე (CPV: 79341000)**, რომელიც შემდეგს მოიცავს:

ა) **შემსყიდველის ლოგოს და მონაცემების** (დასახელება, მისამართი, ტელეფონები, ვებ და ფეისბუქის გვერდის ლინკები, ელ-ფოსტა, ზუსტი ადგილმდებარეობის ამსახველი რუკა), **webgeorgia.ge-ს ქართულ, ინგლისურ და რუსულ ვერსიებში განთავსებას;**

ბ) **შემსყიდველს აქვს სამენოვანი საპრეზენტაციო გვერდის გამოყენების უფლება, რომელიც webgeorgia.ge-ს სამივე ენის ვერსიაში შეუძლია წარმოაჩინოს.**

**საპრეზენტაციო გვერდი მოიცავს:** - ინფორმაციას შემსყიდველის საქმიანობის შესახებ, სიახლეების დამატების საშუალებას, საკონტაქტო მონაცემებს და ზუსტი ადგილმდებარეობის ამსახველ რუკას, მაქსიმუმ 20 ფოტო და შეუზღუდავი რაოდენობის ვიდეო მასალას (ვიდეო ფაილები ატვირთული უნდა იყოს youtube.com-ზე).

გ) **საპრეზენტაციო გვერდზე წარმოდგენილი ნებისმიერი ინფორმაციის მართვას /ინგლისური და რუსული ვერსიების შევსება შემსყიდველს თავად შეუძლია, რისთვისაც მას საკუთარი სამართავი პანელი ექნება/;**

დ) **საპრეზენტაციო გვერდს საკუთარი მისამართი გააჩნია, რაც მის დამოუკიდებლად გამოყენების საშუალებას იძლევა.**

2.2. სარეკლამო მომსახურების შესყიდვის ყოველთვიური ღირებულებაა 35 (ოცდათხუთხმეტი) ლარი.

**3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება**

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნული ვალუტით.

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა 420 (ოთხას ოცი) ლარი.

**4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია**

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

**5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები**

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ეტაპობრივად, 2017 წლის 01 იანვრიდან 2017 წლი 31 დეკემბრის ჩათვლით.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას №16

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია ეტაპობრივად, ყოველი თვის ბოლოს, გაწეული მომსახურების შესაბამისად, უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (ინვოისი, სასაქონლო ზედნაღები ან ანგარიშგაქტურა).

**6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

**7. ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი (ვადები)**



ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ეტაპობრივად, შესყიდვის ობიექტის თაობაზე მიღება-აბარების აქტის გაფორმებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

### **8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
- მოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისი ობიექტის საპრეზენტაციო გვერდის სამართავი პანელის მონაცემების მიწოდება;

- მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება;

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მიმწოდებელს დროულად მიაწოდოს საპრეზენტაციო გვერდისათვის საჭირო მასალა (ინფორმაცია, ფოტო - მასალა და სხვ.);

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულების მეორე პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება გაუწიოს, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, იზრუნოს საიტის გამართულ მუშაობაზე და საჭიროების შემთხვევაში სამუშაო საათებში პარტნიორს სატელეფონო კონსულტაცია გაუწიოს.

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

### **9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას**

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

### **10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

### **11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა**

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.2. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### **12. ფორს-მაჟორი**

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ მხარეების ხელისუფლების მიერ არ არის გამოწვეული. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწვეს



12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

**13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები**

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების, საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ან იმნაძე.

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**15. სხვა პირობები**

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

**16. მხარეთა ზუსტი დასახელება და რეკვიზიტები**

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი  
 მისამართი - ქ. გორი, ი. ჭავჭავაძის ქ. №53  
  
 ტელ: (+995 370) 22 94 90  
 საიდენტიფიკაციო კოდი - 218076542  
საბანკო რეკვიზიტები:  
 სახელმწიფო ბანკი  
 ბანკის კოდი TRESGE22  
 ბანკის ერთიანი ანგარიში  
  
 ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე  
 გიორგი ხორბლაძე

შპს „სტუდია ვებჯორჯია“  
 მისამართი - ქ. თბილისი; ვაჟა-ფშაველას №16  
 ელ. ფოსტა [info@webgeorgia.ge](mailto:info@webgeorgia.ge)  
 ტელ: 571 512121  
 საიდენტიფიკაციო კოდი - 205197320  
საბანკო რეკვიზიტები:  
 ს.ს. „თბილისი ბანკი“  
 ბანკის კოდი TBCBGE22  
 ანგარიშის ნომერი GE57TB730283602010001  
  
 დირექტორი  
 ვახტანგ ჯინჯიხაძე

